საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ.თბილისი

17.05.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
დავით კიკალეიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დიმიტრი ალავიძე - შპს ,,ვოლ ფაბლიშინგის" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ზაქარია შველიძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
მადონა ჭეიშვილი - შპს ,,N5 კლინიკური საავადმყოფოს" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნანა ჭიღლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მარინა ჟვანია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;
ლალი შაიშმელაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან ფანჩულიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შუდრა - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ბექა ძამაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.
კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - წარმომადგენლები:
რიჩარდ ლასენი - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორი;
მარინე ჯაფარიძე - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორის მოადგილე;

აკრედიტაციის ექსპერტები:
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18[00] სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

I. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს უფლებამოსილების ცნობა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის დამსწრე პირებს გააცნო საქართველოს პრემიერ - მინისტრის 2011 წლის 5 მაისის ბრძანება N140, ,,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წევრთა დანიშვნის შესახებ“, რომლის შესაბამისად, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებად დაინიშნენ:
1. ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით კიკალეიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. დიმიტრი ალავიძე - შპს ,,ვოლ ფაბლიშინგის" სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;
4. თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
5. ნანა დალაქიშვილი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სასწავლო მასალებისა და დანერგვის დეპარტამენტის უფროსი;
6. იაგორ კალანდაძე - სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი;
7. მიხეილ კორძახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
8. ზაქარია შველიძე - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
9. მადონა ჭეიშვილი - შპს ,,N5 კლინიკური საავადმყოფოს" დირექტორი.

საბჭოს წევრებმა ცნეს და დაადასტურეს საკუთარი უფლებამოსილება, განახორციელონ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭების, მინიჭებაზე უარის თქმისა და აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - წარმომადგენლებს მიმართა ხომ არ ქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორმა რიჩარდ ლასენმა დაადასტურა, რომ მას საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდა.

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, დავით კერესელიძემ. მისი თქმით, ცენტრი იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ

დაკმაყოფილებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტი:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
გ) მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

ხოლო რეკომენდაციის სახით სასურველია:
1. ქართულ ენაზე შეთავაზებული სასწავლო კურსები და/ან ცალკეულ კურსებში ქართულენოვანი კომპონენტების ხვედრითი წილის გაზრდა;
2. გაძლიერდეს გეოგრაფიის სწავლება დამოუკიდებელი კურსის ან სხვა კურსის კომპონენტის სახით, რათა შესაძლებელი გახდეს შესაბამისი კომპეტენციების უკეთ გამომუშავება;
3. ახალ სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნით, გაძლიერდეს მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა და შემუშავდეს მათი ინტეგრაციის ხელშემწყობი დამატებითი მექანიზმები.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ მისცა აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორმა რიჩარდ ლასენმა დადებითად შეაფასა ექსპერტთა დასკვნა და ასევე გამოთქმული რეკომენდაციები.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია აკრედიტაციის სტანდარტები და გაიზიარა წარმოდგენილი რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში” - საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

III - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ცენტრის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, დავით კერესელიძემ. მისი თქმით, ცენტრი იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ დაკმაყოფილებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტი:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
გ) მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

ხოლო რეკომენდაციის სახით სასურველია:

1. ქართულ ენაზე შეთავაზებული სასწავლო კურსები და/ან ცალკეულ კურსებში ქართულენოვანი კომპონენტების ხვედრითი წილის გაზრდა;
2. გაძლიერდეს გეოგრაფიის სწავლება დამოუკიდებელი კურსის ან სხვა კურსის კომპონენტის სახით, რათა შესაძლებელი გახდეს შესაბამისი კომპეტენციების უკეთ გამომუშავება;

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ მისცა აკრედიტაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში - დირექტორმა რიჩარდ ლასენმა დადებითად შეაფასა ექსპერტთა დასკვნა და ასევე გამოთქმული რეკომენდაციები.

საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია აკრედიტაციის სტანდარტები და გაიზიარა წარმოდგენილი რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - სს - „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში" - საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო ხოფერია

საბჭოს თავმჯდომარე

დიმიტრი ალავიძე

საბჭოს მდივანი